

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №19

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

10.12. 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგობერიძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, კობა ძაგნიძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგომე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია**.

სხდომა 14⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2020 წლის 10 დეკემბრის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ივანიაძის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეების ანგარიშების მოსმენის შესახებ;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

5. მუნიციპალიტეტში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ ა(ა)იპ „ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხსენებელი: გიგა ბუაძე

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2020 წლის 10 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ 2020 წლის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა 937,0 ათასი ლარით, 6700,2 ათასი ლარიდან 5763,2 ათას ლარამდე, ხოლო 63,0 ათასი ლარით შემცირდა ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი.

აღნიშნული საკომპენსაციოდ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ნოემბრის N2776 განკარგულებით „ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის თაობაზე“, ვანის მუნიციპალიტეტს ფინანსური დახმარების სახით გამოეყო 1000,0 ათასი ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 10 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა: რაც შეეხება 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მოსალოდნელ მაჩვენებლებს: შემოსულობები დაგეგმილია 15416,2 ათასი ლარით, უკვე მობილიზებულია 14530,2 ათასი ლარი, წლიური გეგმის 94,3%. გადასახადების 2020 წლის საპროგნოზო მოცულობა 5763,2 ათასი ლარით განისაზღვრა. 10 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულია 6988,0 ათასი ლარი წლიური გეგმის 97.9%. გრანტების 2020 წლის გეგმა 9161.2 ათასი ლარით განისაზღვრა, მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 8431.7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 92.0%. სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 391.8 ათასი ლარით, მობილიზებულია 392,0 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 100,0%. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებულია 104,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 100,0 ათასი ლარის 104,0%.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 10 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით, გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა მის მიერ 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. (დანართი N 1)

წარმოდგენილ ინფორმაციაზე ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ, ტარიელ ბარამიძემ, გიგა გოგიბერიძემ, რამაზ არველაძემ წარმოადგინეს 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია. (დანართი N 2,3,4,5)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა ბუაძემ წარმოადგინა ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მუშაობის შესახებ. ძირითადი ყურადღება გაამახვილა კორონა ვირუსთან დაკავშირებით. 9 დეკემბრის

მდგომარეობით სულ რეგისტრირებულია 591 დადსტურებული შემთხვევა. გამოჯანმრთელდა 368, გარდაიცვალა 5. თვითიზოლაციაში იმყოფება 671 პირი. (დანართი N6)

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე